მუნიციპალიტეტის ხმა

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №19(33) 2012 წ. 1-15 ოქტომბერი ფასი 50 თეთრი

„ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ წევრი

თინათინ ხიდაშელი

საქართველოს პარლამენტის დეპუტატი საგარეჯოს რაიონიდან

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები

მაჟორიტარული სისტემით

1. ზაზა ცხვარიაშვილი – 78 (0.33%) — „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო“
5. გია ჩალათაშვილი – 10 075 (42.02%) — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“
10. გიორგი ოგოლაშვილი – 317 (1.32%) — „გიორგი თარგამაძე – ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობა
24. დავით მაისურაძე – 134 (0.56%) — „ახალი მემარჯვენეები“
38. თეიმურაზ მჭედლიშვილი – 188 (0.78%) — „შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“
41. თინათინ ხიდაშელი – 13184 (54.99%) — „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“

პროპორციული სისტემით

მთლიანად საქართველოში

1. „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ – 54.91%
(მიღებული ხმების რაოდენობა – 1 483 979)
2. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“ – 40.38%
(მიღებული ხმების რაოდენობა – 870 629)
3. „გიორგი თარგამაძე – ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობა – 2.05%
(მიღებული ხმების რაოდენობა – 44 208)

საგარეჯოში

1. „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ – 57.14%
(მიღებული ხმების რაოდენობა – 13 683)
2. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“ – 39.43%
(მიღებული ხმების რაოდენობა – 9 441)
3. „გიორგი თარგამაძე – ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობა – 1.42%
(მიღებული ხმების რაოდენობა – 341)

№19(33) 2012 წელი, 1-15 ოქტომბერი

ჩვენს მუნიციპალიტეტში

„რთველი — 2012“ დამთავრდა

დამთავრდა რთველი. თუმცა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ზოგიერთ სოფელში მევენახეებს ყურძენი კვლავ დასაკრეფი აქვთ,რადგან თითა ჯიშის ყურძნის რეალიზაციას თბილისისა და სხვა რაიონების გლეხურ ბაზრებზე ნელ-ნელა ახდენენ. მიუხედავად რთული კლიმატური პირობებისა, ყურძენი წელს საკმაო რაოდენობით მოვიდა იმ ზვრებში, სადაც ნაკლებად შეეხო სეტყვა, ქარიშხალი და წყალდიდობა. თუმცა, არც გლეხს უზარალია – მიიღო შესაბამისი კომპენსაცია – ფქვილის, ზეთის, შაქრის ფხვნილის, სხვადასხვა

კვების პროდუქტებისა და ფულადი დახმარების სახით. ის, თუ ვინ, როგორ მიიღო ეს კომპენსაცია, ამაზე ამჯერად არ გვექნება საუბარი.

მაშ, ასე, მანავის ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელმა ქარხანამ „მწვანე“ ჯიშის ყურძენი 67 380კგ ყურძენი მიიღო, საფერავი – 186 650კგ, რქაწითელი – 971 440კგ, ბადიაურის ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელმა ქარხანამ – 70 ტონა საფერავი და 3630 ტონა რქაწითელი მიიღო. ნინოწმინდის ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელმა ქარხანამ 225 ტონა რქაწითელი და 225 ტონა საფერავი.

საგარეჯოს ცენტრის რეკონსტრუქცია

ეს, რა უნდა ვიცოდეთ კახელებმა!

ვაზის მოსავლიანობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები

ქართველი გლეხი კარგად იცნობდა სხვადასხვა სახის ნიადაგის დამახასიათებელ თავისებურებებს. ისიც კარგად იცოდა, თუ მისი სოფლის რომელი ადგილი რა ხარისხის ღვინოს იძლეოდა.

ვენახის გასაშენებლად ნავარაუდევ ფართობზე ერთმანეთის პარალელურად და ურთიერთისაგან გარკვეული მანძილით დაშორებული არხები უნდა გაეკეთებინათ ან გუთნით გაეკვალათ. არხებს შორის მანძილი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენ გადაწვენას ვარაუდობდა მევენახე.

რქის ჩაყრა გაზაფხულზე, გაზაფხულის პირზე და შემოდგომაზეც შეიძლებოდა. აჭრის დროს რქისათვის გასული წლის სამამულე რქის ნაწილი უნდა შეერჩინათ. ის ახალ რქას იცავდა – გამძლეობას მატებდა. ჩასაყრელ რქას წინასწარ დაალბობდნენ და მერე ჩაყრიდნენ. ორ-სამ რქას ერთად ჩააგდებდნენ, იმ მიზნით, რომ უზრუნველეყოთ ვაზის გახარება დანერგვის ადგილას,– ორი ვაზიდან ერთი მაინც გაიხარებდა. ორმოში ჩალაგებულ რქებს მიწას მიაყრიდნენ და მაგრად დატკეპნიდნენ, რათა ჰაერი არ ჩასულიყო და რქა არ გამხმარიყო. რქის უდიდესი ნაწილი მიწაში იჯდა, მიწის ზემოთ ის მხოლოდ ორ კვირტზე იყო დატოვებული. ამ კვირტებს სამამულე კვირტებს უწოდებდნენ. სამამულედ მხოლოდ ერთი რქა იყო საჭირო, კვირტიც ერთი უნდა შერჩენოდა, მაგრამ იმის გამო, რომ კვირტი შეიძლება გაფუჭებულიყო, მას ორ კვირტს უტოვებდნენ. გადაწვენის დროს წყვილი რქიდან აღმოცენებულ ვაზებს ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით გადააწვენდნენ, ან ერთს ამოიღებდნენ და სხვაგან გადაიტანდნენ. თუ თითო ვაზი იყო დარგული, მაშინ მას ჩვეულებრივი წესით გადააწვენდნენ და გაამრავლებდნენ. ჩვეულებრივი წესის მიხედვით ვაზი ორჯერ უნდა გადაეწვინათ და ვენახის გაშენებაც ექვს წელიწადში უნდა დასრულებულიყო.

აპრილის თვეში კვირტი თავს რომ ამოყოფდა, ვენახს გათოხნიდნენ. ახალშენს წელიწადში სამჯერ თოხნიდნენ. საჭიროების შემთხვევაში რწყავდნენ კიდევაც. პატარა ვაზს პირველ წელსვე ზედმეტ ყლორტებს აცლიდნენ და, ამგვარად, მის გაფურჩქნას ხელს უწყობდნენ, შემდგომ გასხლავდნენ. თუ ჩაყრის დროს შერჩენილი ორივე კვირტი გაიხარებდა, ერთს მოაჭრიდნენ და მეორეს სამამულედ გაუშვებდნენ. პირველი წლის თავზე უნდა გაესხლათ ორ კვირტზე, მესამე წელს კი ოთხ-ხუთ კვირტზე გასხლავდნენ. ვაზს თებერვლის ნახევარში სხლავდნენ, ვიდრე წვენი ჩაუდგებოდა. წვენჩამდგარი ვაზი რომ გაისხლას, კვირტი დაუბრმავდება, ნაყოფსაც ვერ გამოიტანს. მეორე წლისათვის ვაზისთვის ჭიგო უნდა შეედგათ, შეეყელათ და შემდეგ აეხვიათ. თოხნა, მარგვლა, ფურჩვნა, სხვლა და საჭიროების შემთხვევაში რწყვაც მეორე და შემდეგ წლებში ისეთივე თანმიმდევრობით და აუცილებლობით გრძელდებოდა.

დიდი ყურადღება ექცეოდა ყურძნის მოკრეფას, მარან-ქვევრების შემზადებას, ღვინის დაწურვა-დაყენებას, ღვინის მოვლა-პატრონობას.

ვენახის გაშენებისა და მოვლის რაციონალური ხერხების შემუშავებისა და საუკუნეობით შექმნილი ღვინის დაყენების ხალხური ტექნოლოგიების გარდა, მოსახლეობა ყურძნის მოსავლის უზრუნველსაყოფად ვენახში თუ მარანში სარწმუნოებრივ წესებს – ლოცვას და მსხვერპლის შეწირვას მიმართავდა. წლიდან წლამდე ის, მაგიურ მოქმედებასთან ერთად, ვაზის უხვი მოსავლისათვის ლოცულობდა, სწირავდა სხვადასხვა შესაწირავებს, რაც ვლინდებოდა წლიურ დღესასწაულთა რიტუალში.

ახალ წელს ყურძნის მოსავლის სიუხვისათვის საგანგებო პურებს აცხობდნენ. რიტუალური კვერები გაფუებული, გულსავსე უნდა ყოფილყო, მათი შეწირვა ოჯახის ბარაქის, სიუხვის მიზნით ხდებოდა. საახალწლოდ კახეთში ჭიგო-სარის, ქვევრის სარზე შემოხვეული ვაზის ფორმის პურებს აცხობდნენ. მათ ვაზის ბედის კვერი ერქვათ. მეკვლე ვენახის კვერებს ვენახში შეიტანდა, სანთელს აანთებდა, ვენახს მიულოცავდა, კვერს ვაზთან გადატეხავდა, ღვინოს დალევდა და კვერს იქვე შეჭამდა.

საქართველოში, იქ, სადაც მევენახეობას მისდევდნენ, საახალწლო რიტუალში ყველგან დასტურდება სანთელი და ღვინით ვენახში წასვლა, იქ ლოცვა. რიტუალური ქმედებები: ვენახში ღვინის დაქცევა, ღვინით მიწის მოლბობა, მსხვერპლის შეწირვა მიწის კულტთან გარკვეულ კავშირს ამყარებს, ლოცვა-ვედრება მიმართული უნდა ყოფილიყო დედამიწისადმი, როგორც ნაყოფიერების მომნიჭებელი ძალისადმი.

მევენახეობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც სრულდებოდა ავი სულისა და ავი თვალისაგან ვენახის დაცვის მიზნით. ეს წეს-ჩვეულებები მიზნად ისახავდა საერთოდ მეურნეობის ყველა დარგის უზრუნველყოფას ავი ძალების ზეგავლენისაგან და ამდენად, ბუნებრივია, მევენახეობასაც შეეხებოდა.

კახეთში აღდგომას ოთხშაბათ-ხუთშაბათს ბაღებში, ვენახებში, ეზოს კუთხეებში ცეცხლს დაანთებდნენ. იძახოდნენ – ალი ჭიაკოკონასო.

დიდ ხუთშაბათს, აგრეთვე ავი თვალისაგან დასაცავად, დილაადრიანად უბრალ ტყეში წავიდოდნენ და ასკილის ან იელის ტოტს მოიტანდნენ, რომელსაც ვენახში სარზე დაკიდებდნენ. ავი თვალის საწინააღმდეგო საშუალებად ითვლებოდა შემდეგი წესიც: როცა „ყურძენი თვალში შევიდოდა“, სარზე ძეძვის ტოტს ჩამოკიდებდნენ, ხალხის თქმით, ვინც ავი თვალით შევიდოდა ვენახში, იმ ეკალზე აიგებოდა მისი თვალი.

მოსავლიანობის უზრუნველყოფისა და ბარაქიანობის მიზნით ფართოდ იყო გავრცელებული გარკვეულ დღეებში მუშაობის აღკვეთა. უქმე დღეებსა და კვირაობით მუშაობა აკრძალული იყო. ამაღლებას, კვირას ვენახში არ შევიდოდნენ: ეოხი – სეტყვა იცისო.

კახეთში ყველიერის ორშაბათი ბოგანოს უქმე იყო, კაცი ვენახში არ გაივლიდა – კვირტი არ დამიზიანოს ბოგანომო.

მაისის თვეში, ვაზის ყვავილობის დროს, ვენახში შესვლა აღკვეთილი იყო. მას ახლოს არ უნდა გაჰკარებოდნენ: „ყვავილობისას ვაზი ავად არის, შიგ არ შევიდოდით, ვიდრე ვაზი ყვავილობიდან არ გამოვიდოდა, რაც 7-8 დღეს გრძელდებოდა. სანამ მარცვალი არ გამაგრდება, ვაზს ხელი არ წაევლება“. ყვავილობის დროს ვაზს უთქვამს: მე რომ ავყვავდები, ნეტავი ჩემი პატრონი ავად გახდებოდეს, ვენახში არ შემოვიდეს, ყვავილობაში ხელი არ შემიშალოსო.

ს. ორბელიანის განმარტებით „ოქტომბერი სთვლის თვეა“, ხოლო სთველი ნიშნავს შემოდგომას, „გინდა ყურძნის მოკრეფას“. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „წელიწადის იმ ხანას, როდესაც ვაზის ნაყოფისა და ხილის დაკრეფა შეიძლებოდა, ძველად სთველი ერქვა, რომელიც რთველად ქცეული ახლაც დაცულია. „ძველ ქართულში, – განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი – ხილეული ნაყოფის მოკრეფის აღსანიშნავად ორი ტერმინი არსებობდა: მოსთულა და მოწულვა. პირველი მათგანი ძეგლებში ხშირად გვხვდება და ჩვეულებრივი სიტყვა იყო, რომლის ნაშთიც რთველის სახით თანამედროვე ქართულსაც აქვს შერჩენილი, მეორე კი პირიქით, უძველს ძეგლებში გვხვდება ხოლმე, შემდეგ ქრება, მისი კვალი უკვე მხოლოდ ოდნავდა არის გადარჩენილი. კახეთში რთველი ყველგან ენკენისთვის (სექტემბრის) შუა რიცხვებიდან იწყებოდა, საერთოდ გვიან მოკრეფილი ყურძნისაგან უფრო უკეთესი ღვინო დგებოდა. მთხრობელთა გადმოცემით ალავერდობის შემდეგ ვენახი საკრეფი იყო და მეღვინეთა დიდი ნაწილიც, ტრადიციის მიხედვით, ყურძნის კრეფას ალავერდობის დღესასწაულის მეორე დღეს, ე.ი. 15 სექტემბერს იწყებდა. კახეთში რთველს მთვარის ფაზებსაც უფარდებდნენ, ერიდებოდნენ „მთვარის გადაბრუნების“ დროს ყურძნის დაკრეფას. „ყურძენს თუ დაწურავ მთვარის გადაბრუნებამდე, ღვინოს მატლი უჩნდება, ჭუჭყიც იცის, არც ფერი გამოსდის ღვინისა“-ო.

კახეთში ყურძენს მშრალ ამინდში კრეფენ „ავდარში დაკრეფილს წყალი, სისველე შეჰყვება და ღვინო თხელი გამოვაო“. ცხელი ყურძნის დაკრეფაც არ შეიძლება – „ჩახურდება, მალე ადუღდება, გაგიჟდება, სარქველს გადაგიგდებს: მიწადაყრილი სარქველიც გადაუგდია, ამიტომ სიგრილეში უნდა დაიკრიფოს. ყურძენი გრილი უნდა იყოს“.

რთვლის დადგომას თვითონ ყურძენიც მიანიშნებდა „როცა საფერავი ქლიავისებურად გადაიღებებოდა, რქაწითელს სანთლის ფერი ჩაუდგებოდა, ყურძენი ხალს დაიყრიდა, მაშინ იწევა ყურძენი. რთვლის დაწყების მანიშნებელია აგრეთვე ყურძნის სიტკბო: „ყურძერნი დატკბება, წებოს გაუშვებს. თუ საფერავის მარცვალი შეწითლდება, ყურძენი საკრეფია“.

ვენახში პატრონი ცდილობდა რთველი დაეწყო დარიან ამინდში. ამასთან, გამოცდილი მევენახე დილით ადრე არ შეუდგებოდა ყურძნის კრეფას – ჰაერი ნოტიოა და ღვინოზე ცუდად მოქმედებსო. ზოგი იტყოდა ღვინომ „პრკე“ იცისო.

კრეფის დაწყებამდე ოჯახის უფროსი პირველ მოჭრილ ჩხას ან აკიდოს ზედაშის ქვევრთან ან სალოცავში მიიტანდა, სანთელს აანთებდა, დაილოცებოდა, ყურძნის ჩხას ზედაშეზე ან ხატში დატოვებდა და დაბრუნდებოდა. კრეფა რომ დამთავრდებოდა, დიდი მტევნების მოწევის მიზნით ვაზის წინ მსუქანი კაცი, ქალი ან ბავშვი გაგორდებოდა და იტყოდა – ამოდენა მტევნები მოისხასო. ზოგან ყურძნის კრეფას რომ მორჩებოდნენ, ერთმანეთს დაეჯახებოდნენ და ვაზის წინ გაგორდებოდნენ.

ქართულ რთველში წარმოდგენილი ისეთი რიტუალები, მხარეები, როგორიცაა: ცეცხლის დანთება, კრეფის დაწყებამდე ღვთაებისათვის განკუთვნილი პირველადაჭრილი ყურძნის ჩხა-აკიდოს სალოცავში მიტანა, შეწირვა და შემდეგ ყურძნის კრეფის დაწყება, მამლის, თხის ან ცხვრის იქვე ვენახში შეწირვა, მაგიური ხასიათის ქმედებანი, ვენახში გამართული პურობა, მეზობლებისა და ახლო ნათესავების მოწვევა, მოლხენა და გართობა რთველს საოჯახო დღესასწაულის ხასიათს ანიჭებს.

ძველად – ღვინით მკურნალობა

ბევრმა არ იცის, რომ ძველ დროში, როცა ფარმაცევტული საქმიანობა ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, ადამიანები ღვინოს სამკურნალოდ იყენებდნენ. ასე, მაგალითად, ექიმმა კლავდიუს დალენმა (131-201წწ ჩვ.წ.აღ-მდე) ქალაქ პერგაუნში მოღვაწეობის პერიოდში პირველმა გამოიყენა ღვინის ხსნარში დასველებული საფენები დაჭრილ გლადიატორთა სამკურნალოდ. შედეგი მეტად მნიშვნელოვანი გამოდგა.

ენოთერაპიულ მკურნალობას მისდევდნენ ძველი დროის ექიმები. ზოგიერთ რეცეპტს ჩვენც შემოგთავაზებთ. ამჯერად ყველა დაავადებაზე ვერ მოგაწვდით საჭირო რეცეპტს, მაგრამ მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ღვინო სასარგებლოდ მოქმედებს ღვიძლის ცეროზის დროს, დიაბეტის კლინიკური მკურნალობისას, ასევე ნიკრისის ქარით დაავადებულებზე, გულის სისხლძარღვთა სისტემის დაავადების დროს. ცნობილია, რომ ღვინო მოხუცებში თრგუნავს სიბერის უძლურებას, ასუსტებს შიშს და დაძაბულობას, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას და სხვა, მაგრამ ყველა დაავადებას როდი კურნავს ღვინო, პირიქით, არის დაავადებები, როცა საერთოდ ეკრძალებათ ღვინის მიღება.

* კურნებაი მისირაი მხურვალისა ქარისაგან იყოს. „და ღვინოსა ნუ სუამს, რომელ ელხინოს“ („თავისა ტკივილი, რომელ მხურვალ ქართაგან იყოს“).

* „ნიშანი რა ღვინისაგან იყოს. ვისაც ტვინი ძლიერად და წმინდად ედგას, მას თავი მახმურობისაგან (ღვინის ნასვამობა) არ ასტკივდების, და ვისცა ცოტად სტკივოდეს მახმურობისაგან ტვინისა მოსაფერად წაეკიდების. მახმურობაი თუ დიადი იყოს, ტვინი მისი და ცოტაი ნიშანი მისი იგი არს, რომელ დია სტკივოდეს და თავი და ტანი მძიმედ ედგას“ (თავისა ტკივილი, რომელ მახმურობისაგან იყოს).

* „კურნებაი იგი არს რომელ დია იძინოს და ფერხთა და ხელთა აზელიებდეს და აბანოს მივიდოდეს და თფილსა წყალსა იბანდეს, და საჭამადსა წარსაქაფსა ჭამდეს, ანუ ვარიასა შოწაურსა და ისრიმით შექმნილსა და ცოტაი ღვინოი დიაღცსა წყალსა გაურიოს და სუას და ხილთა მჟავეთა ჭამდეს“.

* ... და მჟავესა ნურასა ჭამს და ძმრითა შექმნილი თევზი და ცივი წყალი იხმაროს და ღვინოისა ნუ სვამს“ (ღვიძლისა ტკივილი სიმხურვალისაგან იყოს თუ სიგრილისაგან“

* „...და უზმამან ცოტაი ღვინოი წყალგაურეველი სუას და საჭამადსა მუხუდოს წვენს ჭამდეს“ (კურნებაი ღვიძლისა სიმსივნისა რაი სიმხურვალისგან იყოს).

მოამზადა თინა ილაურმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№19(33) 2012 წელი, 1-15 ოქტომბერი

ჯილდოები ღირსეულთა შორის ღირსეულებს

ჯილდოს გადაცემისას

სექტემბრის ბოლოს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა შალვა ჯაბადარმა საგარეჯოელ პედაგოგებს, ექიმებს, კულტურის სფეროს წარმოამადგენლებს ღირსების ორდენები გადასცეს.

ჯილდოების გადაცემის შემდეგ მათგან რამდენიმეს გავესაუბრეთ. აი, ისინიც:

ანა ჭიაბრიშვილი, ***ქ. საგარეჯოს №3 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი***: – პედაგოგობა ღვთის ბოძებული ნიჭია. მადლობა უფალს, რომ მაჩუქა ეს ნიჭი. მადლობა ჩემს მოსწავლეებსა და კოლეგებს, რომ საშუალება მომცეს ამ ნიჭის წარმოჩინებისა.



ულრმესი მადლობა კი მათ, ვინც შეამჩნია ეს ნიჭი. შეამჩნია და დააფასა ჩემს მოსწავლეებზე ზრუნვა და მათზე ფიქრში გატარებული უძილო ღამეები.

ჩემთვის დიდი პატივია ამ ღირსეული ქალბატონისა ბატონების გვერდით დგომა. მაგრამ ორმაგად ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მშობლიური ხაშმის საშუალო სკოლის ყოფილ დირექტორთან ერთად მივიღე ეს ჯილდო. მოწიწებით გიხდით მადლობას ბატონო ნოშრევან, ან უფრო სწორად, ნოშრე მასწ. ეს თქვენი და ჩემი საყვარელი მასწავლებლების დამსახურებაა.

უაღრესად ბედნიერი ვარ. ჩემთვის ეს ჯილდო საჩუქარია დაუღალავი შრომით განვლილი წლებისა და საწინდარია იმისა, რომ კიდევ უფრო მეტად ვემსახურო ჩემს სამშობლოს.

ზაირა ივანელაშვილი-გოცირიძე, ***საგარეჯოს №3 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი***: – დღევანდელი დღე ჩემთვის ძალიან დიდი სიხარულის დღეა, მართლაც ძალიან მიხარია, რომ ასეთი დიდი ჯილდოს მფლობელი გავხდი. დიდი მადლობა პრეზიდენტს, ჩვენს სამინისტროს და ადგილობრივ თვითმმართველობას, რომ ჩვენს შრომას ასე უმაღლესად აფასებს.

ჩემთვის ეს უმაღლესი ჯილდო დიდი პასუხისმგებლობის და კვლავ თავდადებული შრომის საწინდარია ჩვენი ახალგაზრდა თაობის ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდისათვის.

ანა ჭიაბრიშვილი

თინათინ უტიაშვილი, ***საგარეჯოს რაიონის სოფელ თოხლიაურის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ყოფილი მასწავლებელი, 85 წლის:*** – მინდა მადლობა ვუთხრა ყველას ჩემი გახსენებისათვის და იმ ამაგის დაფასებისათვის, რაც მე თოხლიაურის საშუალო სკოლაში 40 წლის განმავლობაში გავწიე. დღეს მოხუცებული ვარ, პენსიონერი, ვცხოვრობ იმ ლამაზი მოგონებებით, რომლებიც სკოლასთან, ჩემს მოსწავლეებთან, კოლეგებთან მაკავშირებდა. ეს ჯილდო კი სიამაყეს მგვრის, მაძლევს სტიმულს, რომ კვლავაც გავაგრძელო სიცოცხლე, ცხოვრება და ამ ცხოვრებაში დავტკბე ჩემი აღზრდილ-გაზრდილი ადამიანების წარმატებებით.

დათო ლალიაშვილი, ***შპს „ჯეოჰოსპიტალს-“ის მრავალპროფილიანი სამედიცინო ცენტრის უფროსი ექიმი:*** – ამ ორიოდე დღის წინ საქართველოს №1 რეანიმატოლოგმა ქ-ნმა ლუბა უგულავამ დამირეკა და იმ კრიტიკული სამედიცინო ცენტრის თანამშრომლობა მთხოვა, რომელიც ახლახანს გაიხსნა. სიმართლე გითხრათ, ეს ყველა ექიმის ოცნებაა, იმუშაოს ისეთი პროფესიონალის გვერდით, როგორიც ქ-ნი ლუბაა, მაგრამ მე იცით რა ვუპასუხე? – საგარეჯოში ისეთი სამედიცინო ცენტრი გაიხსნა, აქედან ვერსად ვერ წავალ. ეს ცენტრი ჩვენი – საგარეჯოელი ექიმების სიამაყე და საგარეჯოელების იმედია – მეთქი. თურმე ტყუილად რომ არ გვიამაყია, დღესაც დავრწმუნდი. თქვენ უსმენდით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის საუბარს და ერთობ სასიხარულო ინფორმაცია მოგვაწოდა: გურჯაანის სავადმყოფოში გადავიყვანოთ თირკმელების უკმარისობით ის პაციენტი, რომლსაც გადაუდებელი დახმარება დასჭირდება. მოგეხსენებათ, დიალეზზე დამოკიდებული ბევრი ნპაციენტია, სახელმწიფო მათ ძვირადღირებული მედიკამენტებით ეხმარება. როცა შემთხვევა გვაქვს პირველ გამოვლენასთან დიდი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით ხოლმე. ახლაც ამ ერთ კვირაში 3 შემთხვევა იყო თირკმელების უკმარისობით პაციენტების შემოყვანისა ჩვენს სამედიცინო ცენტრში. ერთია, როცა დაგეგმილი, უკვე ასეთ პროგრამაშია ჩართული ავადმყოფი, მეორეა, როცა მას ესაჭიროება დახმარება და ამ დახმარებისათვის ჩვენ ვეძებთ საავადმყოფოებს, სადაც განვათავსებთ მათ. ახლა ჩვენ გვეცოდინება სად უნდა მივიყვანოთ ავადმყოფი თირკმელების უკმარისობით. ეს დიდი მიღწევაა ექიმთა დასახმარებლად და უდიდესი შეღავათია პაციენტისათვის. მადლობა მინდა ვუთხრა ყველას ამ დიდი ჯილდოსათვის, რომელიც მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს მეც და ყველას, ვინც დღეს ეს ჯილდო მივიღეთ.

დავით ლალიაშვილი

ზაირა ივანელაშვილი-გოცირიძე

თინათინ უტიაშვილი

ჩაიწერა თინა ილაურმა

7 ოქტომბერს აღინიშნა მასწავლებლის დღე

მუდამ ძიებაში

ავტობიოგრაფიული ცნობები

– 1987 წელს დავამთავრე თბილისის კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა. პარალელურად ვსწავლობდი თბილისის №15 მუსიკალურ ათწლედში.

1993 წელს დავამთავრე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო და ამავე უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. იმავე წელს სწავლა გავაგრძელე საქართველოს პედაგოგთა დახელოვნების ინსტიტუტში – დაწყებითი კლასების პედაგოგის სპეციალობით.

სწავლის დამთავრების შემდეგ დღემდე ვმუშაობ საგარეჯოს II საჯარო სკოლაში. პარალელურად რამდენიმე წლის განმავლობაში ვმუშაობდი საგარეჯოს საერო სკოლაში.

მყავს მეუღლე და სამი შვილი. უფროსი გოგონები საქართველოს საუკეთესო უნივერსიტეტების სტუდენტები არიან. უმცროსი – ვალერი, ჯერჯერობით მოსწავლეა. ვარ ორი შვილიშვილის ბებიაც.

პროფესიული მოღვაწეობის ეტაპები

– პირველად სკოლაში მეთერთმეტეკლესელებისაგან ვერ გამარჩევდით. მახსოვს, სანამ გამიცნობდნენ, როგორც ახალ თანამშრომელს, სკოლის ერთ-ერთმა ტექპერსონალმა მომცა შენიშვნა. თანაც ძალიან მკაცრად: „ჩქარა შედი კლასში, ზარი უკვე დაირეკა და მასწავლებელი შევიდაო“...

ჩემს საქმეს – სამსახურს თავიდანვე დიდი პასუხისმგებლობით მოვკიდე ხელი. არც გამჭირვებია, რადგან თითქმის იმ ასაკის შვილებს ვზრდიდი, რა ასაკის აღსაზრდელებიც მყავდა. კარგად მესმოდა მათი, უკეთ ვწვდებოდი მათ ფსიქიკას, მესმოდა თითოეული მშობლის. სწორედ ეს დამეხმარა საკუთარ ძალებში დავრწმუნებულიყავი და უმთავრესი, რაც დიდი სიამაყით მინდა ვთქვა, მე მომიწია მუშაობა საქართველოს იმ ერთ-ერთ ძლიერ პროფესიონალთა გუნდთან ერთად, რომელსაც საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის დაწყებითების კათედრა ჰქვია.

ნამოწაფრების შესახებ

– დღეს ბევრი მათგანი უკვე სტუდენტია: ანი მოსიაშვილი, ირაკლი ცანკაშვილი, სალომე ქვლივიძე, ნანა გულიკაშვილი, მარიამ ხითარიშვილი, ლიკა დარბაისელი და სხვა.

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების და მასწავლებელთა სერტიფიცირების შესახებ

– განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ყველაზე მთავარი მიღწევა არის ის, რომ მოსწავლე დაუბრუნდა სკოლას, მათთვის ნათელი გახდა, რომ ცოდნაა ერთადერთი გზა წარმატების მისაღწევად, თუნდაც ატესტატის ასაღებად.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მასწავლებელთა სერტიფიცირება. ამ სიახლეს თავიდანვე ძალიან შეგნებულად მივუდექი. არ გამჩენია არანაირი პროტესტი. მასწავლებელთა უწყვეტი განვითარება სავალდებულოა ევროპის 20-ზე მეტ ქვეყანაში. 21-ე საუკუნის მასწავლებელი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ თანამედროვე, განსხვავებული შესაძლებლობებისა და ღირებულებების მოსწავლეების საჭიროებები და მოლოდინები დააკმაყოფილოს. თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინება სწავლებაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირებას გულისხმობს.

1000 ლარიანი ვაუჩერის შესახებ

– იყო დრო, როცა მასწავლებლის ხელფასი შეადგენდა სულ რაღაც 32 ლარს. მინდა გითხრათ, მიუხედავად ამისა, ჩემს საქმეს პირნათლად ვასრულებდი. როცა ხარ გაკვეთილზე, ბავშვს უხსნი, ეხმარები, ასწავლი, იქ იმ დროს არ შეიძლება ფიქრობდე – ჩემი შრომის სანაცვლოდ რამდენს ავიღებ ხელფასსო. თუმცა, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მასწავლებლები არ იმსახურებენ მაღალ ანაზღაურებას. შრომის მაღალი ანაზღაურება, რა თქმა უნდა, ზრდის მოტივაციას. დღეს ამის შანსი ყველა მასწავლებელს ეძლევა.

სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ეს წარმატება მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ყოველთვის წარმატებული მოსწავლე და სტუდენტი ვიყავი, რადგან საქმეს ყოველთვის სრული პასუხისმგებლობით ვეკიდები. თუ კიდევ რაიმე სიახლეს დაგეგმავს განათლების სამინისტრო, კიდევ სიამოვნებით და ხალისით ჩავერთვები ახალ პროექტებში.

ჩაიწერა თინა ილაურმა

გზა, რომელსაც უმაღლესი იდეალებისაკენ მივყავართ

საგარეჯოს IV საჯარო სკოლის უცხო ენების მასწავლებელი ნინო ხაბაზიშვილი იმ წარჩინებულ ქართველ პედაგოგთა შორისაა, რომელთაც წარმატებით ჩააბარეს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები და ღირსეულად ატარებენ საუკეთესო მასწავლებლის სტატუსს. მისთვის, როგორც პედაგოგისთვის საამაყოა ისიც, რომ მისი ბევრი აღზრდილი საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებული სტუდენტია და ქვეყანას საიმედო ცვლად ეზრდებიან. როგორც თვითონაც აცხადებს ნაღდი მოწოდების პედაგოგისათვის ამაზე დიდი დაფასება და აღიარება ამ ქვეყნად სხვა არაფერია. თუ როგორი იყო ამ აღიარება და დაფასებისაკენ მიმავალი გზა, ამას ქ-ნი ნინოსგან ქვემოთ მოყვანილი საუბრისგან შევიტყობთ:

– დავამთავრე გიორგიწმინდის საჯარო სკოლა. სკოლაში მუდამ აქტიური და კარგი მოსწავლე ვიყავი. განსაკუთრებით მიყვარდა ჰუმანიტარული საგნები. კარგად ვითვისებდი უცხო ენებს, ამიტომ გადავწყვიტე სწავლის გაგრძელება ამ მიმართულებით. მისაღები გამოცდები ჩავაბარე და ჩავირიცხე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტზე. მასწავლებლის მოტივაცია მოგვიანებით, სტუდენტობის დროს გამიჩნდა, როცა მივხვდი, რომ ჩემი ცოდნა შემეძლო მოსწავლეებისთვის გამეზიარებინა. დღევანდელობისაგან განსხვავებით ჩემი თაობის ადამიანებისათვის მოსწავლეობისა და სტუდენტობის წლებიც რთულ პერიოდს დაემთხვა. გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს მოსახლეობასთან ერთად ურთულესი იყო განათლების სფეროსთვისაც. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არ იყო შესაფერისი საგანმანათლებლო სისტემა, სახელმძღვანელოები და ათასი სხვა რამ. ამიტომ მე არ შემიძლია არ დავაფასო და უდიდესი მადლობა არ გადავუხადო ჩემი სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგებს, რომელთაც ასეთი სირთულეებისა და გაჭირვების მიუხედავად ძალ-ღონე არ დაიშურეს ჩვენი თაობების აღსაზრდელად. მათი ენთუზიაზმისა და მცდელობის შედეგად დღეს ჩვენ გვაქვს ცოდნა და განათლება, მიახლოებული ვართ თანამედროვე ევროპული სწავლა-განათლების დონეს და ზოგიერთ საკითხში მათ ვაჭარბებთ კიდეც.

– სკოლისა და ბავშვობის წლებთან ერთად, ყველა ადამიანისათვის განსაკუთრებით თბილი გასახსენებელია უმაღლესი სასწავლებლის კედლებში გატარებული სწავლის პერიოდი. როგორ დარჩა ეს ხანა თქვენს მეხსიერებაში?

– ეს ჩემთვის იყო საკუთარ თავზე მუშაობის, ცოდნის დაუფლების, სწავლის, განათლების, ძიების წლები. ბევრს ვმეცადინეობდი, ვკითხულობდი ინგლისურ ლიტერატურას, ვუსმენდი ინგლისურენოვან სატელევიზიო არხებს, რაც მიადვილებდა უნივერსიტეტში სწავლასა და დასახული მიზნისაკენ გზის გაკაფვაში.

– თქვენი პედაგოგების პირველ ნაბიჯებს როგორ გაიხსენებთ?

– რაიმე განსაკუთრებული აქ არაფერი ყოფილა. დავამთავრე თუ არა უნივერსიტეტი, მუშაობა დავიწყე საგარეჯოს IV საჯარო სკოლაში. ამ სკოლას, რომელიც ერთ-ერთი მოწინავეა, არა მარტო ჩვენს მუნიციპალიტეტში, არამედ ქვეყნის მასშტაბითაც, ძალზე დიდი და მდიდარი ტრადიციები აქვს უცხო ენის სწავლების საკითხებში. მუშაობასა და გამოცდილების დაგროვებაში ძალზე დამეხმარა ის, რომ სკოლაში მისვლისთანავე სამოქალაქო განათლების პროგრამით სტაჟირება გავიარე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს არის სკოლის მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამა „პარტნიორობა განათლების სფეროში“, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაცია – ამერიკული საბჭოებისა და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით. ამავდროულად სტაჟირება გავიარე და კვალიფიკაცია ავიმაღლე ნებრასკის შტატის საჯარო სკოლებში. ვაშინგტონში, ლინკოლნის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვესწრებოდი მასწავლებელთა შეხვედრებსა და ტრენინგებს, კონფერენციებს. ეს იყო უდიდესი გამოცდილება, რაც დამეხმარა ჩემს პროფესიულ ზრდასა და წინსვლაში.

სტაჟირებაზე ასევე გახლდით დიდ ბრიტანეთში, ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა უმაღლეს სკოლაში. აქ სტაჟირებას გავდიოდი სამოქალაქო განათლების პროგრამით. ეს სკოლა წამყვანია მთელს ბრიტანეთში და მსოფლიოშია ცნობილი თავისი ხარისხიანი სწავლებით.

ამერიკისა და ბრიტანეთის გარდა, მიწვეული ვიყავი ლიტვაშიც. კერძოდ, ვილნიუსში გავიარე სტაჟირება თანამედროვე დიდაქტიკურ მეთოდებსა და სწავლის თანამედროვე მიდგომებში. ამ ცნობილ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებულ ცოდნას შემდგომში ვუზიარებდი ბევრ დაინტერესებულ ადამიანს, ვატარებდი ტრენინგებს მასწავლებლების, მოსწავლეებისა და სკოლების ადმინისტრაციებისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში: აჭარაში, კახეთში, ქართლში და ა.შ.

– თვითონ თქვენს სკოლაში როგორ შეხვდნენ თქვენს მიერ მიღწეულ ამ წარმატებებს?

– მე ზემოთაც საუბარში ვთქვი, რომ საგარეჯოს IV საჯარო სკოლას დიდი და მდიდარი ტრადიციები აქვს უცხო ენების სწავლების საკითხებში. სკოლაში მისვლისთანავე მივხვდი, რომ ინგლისური ენის მასწავლებელთა კოლეგიალურ და მებრძოლ გარემოში მოვხვდი. ამიტომაც მალევე ჩავერთე სასკოლო პროცესებში, შემოვიტანეთ სიახლეები, რაშიც ყოველთვის მქონდა მხარდაჭერა ჩემი კოლეგებისა და სკოლის დირექტორის მხრიდან, საზღვარგარეთ დაგროვილი და შეძენილი ცოდნა მუდამ მეხმარებოდა სწავლის ახალი მეთოდების დანერგვაში და ჩემი პროფესიული დაოსტატების საქმეში.

– ასეთი გამოცდილების მქონეს, ცხადია, არ გაგიჭირდებოდათ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება?

– ეს გამოცდები პირველსავე წელს ჩავაბარე და მაღალი შედეგებით. 2010 წელს, ასევე პირველივე საგამოცდო წელს, ჩავაბარე ინგლისური ენისა და კომპიუტერული უნარების გამოცდებიც, სადაც უმაღლესი ქულები დავაგროვე და მომენიჭა საუკეთესო მასწავლებლის სტატუსი, რამაც უფრო მეტად საპასუხისმგებლო გახადა ჩემი პროფესია და სამსახური.

– ყველაფერი ამის გამოძახილი ალბათ თქვენს მიერ აღზრდილ მოსწავლეების შედეგებში უნდა ვეძიოთ, რომლებიც მუდამ შედეგებს აღწევენ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების დროს, არა?

– შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ ეს ასეა და მე მუდამ ვამაყობ ჩემი ნამოღვაწარის შედეგებით. გასულ სასწავლო წელს ბევრმა ჩემმა მოსწავლეებმა დაიმსახურა ინგლისურში უმაღლესი ქულა და გახდა სტუდენტი ასპროცენტიანი დაფინანსებით.

– ნინო, როგორც მოგეხსენებათ, 7 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა. გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქციის სახელით გილოცავთ თქვენს პროფესიულ დღესასწაულს, გისურვებთ წინსვლასა და ახალ-ახალ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და პედაგოგიურ საქმიანობაში. თქვენის მხრივ როგორ მიულოცავდით ამ დღეს თქვენს კოლეგებს, საქართველოს, ქართველ ხალხს?

– ჩემს ძვირფას კოლეგებს, ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობების აღმზრდელებსა და დამკვალიანებლებს, ქვეყნის ხვალინდელი ბედის მჭედლებს – ყველა მასწავლებლებს მივულოცავ ამ პროფესიულ დღესასწაულს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს, წინსვლასა და მომავალ გამარჯვებებს მთელ ქართველ ხალხთან ერთად.

ესაუბრა გივი დაბახიშვილი

ოჯახი – საზოგადოების უჯრედი

ურთიერთსიყვარული და პატივისცემა

ნ. გურჯიძე ოჯახთან ერთად

დღეს საქართველოს – მრავალჯერ-გამოვლილ ჩვენს სამშობლოს უდალატო, წრფელ სიყვარულზე აგებული, ფუძემტკიცე ოჯახები სჭირდება – ქართველობის გადასარჩენად და გასაძლიერებლად, ასაღორძინებლად. აი, რას ამბობენ მყარი, ძლიერი ოჯახების შესახებ:

უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია მეორე:

„ავიღოთ ძრისტიანული ოჯახი, ეს არის მცირე ეკლესია, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს, პირველ რიგში, ღვთისადმი და შემდეგ ერთმანეთისადმი გამოვლენილ ჭეშმარიტ სიყვარულსა და პატივისცემაზე, ხოლო თუ მათ ეს საფუძველი გამოეცალათ, თავს იჩენს ტირანია, რაც ხშირი კონფლიქტის საფუძველი ხდება“.

კობა გურული- ხელოვანი:

„ღმერთმა ძვეყანას საუღვლო აუცილებელი ფესი დაუფესა, ცოლ – ქმარი უპირველეს საუფლო საქმედ აკურთხა და მასში შთამომავლობის, ანუ თავისი ძვეყნის სამომავლო ცვლაზე იზრუნა. ფესრიგი „გული ერთსა დააჯერეროზე“ შეაყენა... ერთგულებაზე და სიყვარულზე, მოთმინებაზე და სურვილთა ფინადაცვეთაზე უდალატო სიყვარული გასდო გზად და ხიდად“...

ოჯახი რთული, პატარა, მაგრამ უცნაური სიცოცხლით სავსე ორგანიზმია, რომელსაც მოფრთხილება სჭირდება. დიდია მამაკაცის და ქალის როლი ოჯახური გარემოს შექმნისას. თუ მათ შორის სრული ჰარმონიაა, ურთიერთ პატივისცემა, ურთიერთნდობაა, მაშინ ყველა სირთულე დაძლეული იქნება.

დღეს ჩვენი გაზეთის ამ ნომრიდან ვიწყებთ იმ ოჯახების სასაუბროდ მოწვევას, ვინც გარკვეულ სირთულეებს გაუძლო, ვინც ოჯახს საფანელად სიყვარული დაუფინა, ვინც ოჯახის საძირკველს ლიბოდ ურთიერთპატივისცემა და ურთიერთ ნდობა ჩაუფინა.

ამჯერად ჩვენთან სასაუბროდ ჩვენივე თანაქალაქელი, ყველა თაობისათვის საპატივცემულო პიროვნება ბატონი ნუგზარ გურჯიძე მოვიწვიეთ, რომელსაც რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

– ბ-ნო ნუგზარ, თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ქართული ოჯახი, რა უნდა ედოს მას საფუძვლად?

– თქვენ როდის და როგორ შექმენით ოჯახი, როგორ გაიცანით თქვენი მომავალი მეუღლე, გქონდათ თუ არა ტრადიციული ქართული ქორწილი, როგორ გაიხსენებდით დღეს ქორწინების დღეს?

– როცა პირველი შვილი ზურაბი შეგეძინათ რა იგრძენით, რა ახალი მოვალეობა-ვალდებულებები იკისრეთ თქვენი ოჯახის წინაშე?

– პირველს მეორე მოჰყვა – ზაზა... მეტი პასუხისმგებლობა...

– შეიცვალა თუ არა თქვენი და თქვენი მეუღლის ურთიერთობა მას შემდეგ, რაც ჯერ პირველი, შემდეგ მეორე შვილი შეგეძინათ?

– საინტერესოა, როგორ უთავსებდით თქვენ რაიკომის II მდივანი (მანამდეც საპასუხისმგებლო პოსტებზე მყოფი პიროვნება) და თქვენი მეუღლე ქ-ნი ნელი – საგარეჯოელთათვის საყვარელი კარდიოლოგი ორი შვილის, თანაც ბიჭების აღზრდას და სამსახურს, სამსახურს რომელსაც არც სამუშაო საათები და არც სამუშაო დღეები გააჩნდა და არც დასვენება ადამიანურად, მშვიდად და წყნარად?

– მართალია დღეს მტკივნეულია დღეს გახსენება, აწ გარდაცვლილ მეუღლესთან ერთად გატარებული წლებისა, მაგრამ იქნებ გვითხრათ, როგორ იხსენებთ ამ წლებს ახლა?

– ყველა ოჯახურ წყვილში ხდება რაღაც გაურკვეველობა, გაუგებრობა, თქვენ როგორ აგვარებდით ასეთ შემთხვევებს?

– როგორ ფიქრობთ, წყვილი ცალკე უნდა ცხოვრობდეს თუ მშობლებთან ერთად?

– რას აძლევს ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს, როცა ერთ სახლში ორი-სამი თაობა ცხოვრობს?

– რა ეტყოდით ახალგაზრდა ოჯახებს და რას ურჩევდით თქვენი გამოცდილებიდან?

ნუგზარ გურჯიძე:

– ოჯახს საფუძვლად უნდა დაედოს მეუღლეთა ურთიერთსიყვარული და პატივისცემა. კარგია, თუ მეუღლეებს მოთმინებისა და დათმენის უნარიც ექნებათ, რადგან ცხოვრებაში ეს აუცილებელია.

ოჯახი 1952 წელს შევქმენი, მძიმე პერიოდი იყო – ქვეყანას ეკონომიურად უჭირდა, უჭირდა ჩვენს ოჯახსაც. მე და ჩემი მეუღლე ნელი ექვთიმიშვილი მანავის საშუალო სკოლაში ვსწავლობდით, ასე, რომ ბავშვობიდანვე ვიცნობდით ერთმანეთს. ბავშვობაშივე დაიბადა სიყვარული, რომელიც შემდეგ ჩვენი ოჯახის შექმნის საფუძველი გახდა.

ჩვენ პედაგოგთა ოჯახებში ვიზრდებოდით. დედაჩემი მარიამ მორჩილაძე და ნელის დედა ელენე დუჩიძე მანავის საშუალო სკოლის მასწავლებლები იყვნენ. ნელის მამა ვახტანგ ექვთიმიშვილი ამავე სკოლის დირექტორი იყო. 1938 წელს დააპატიმრეს და ციხეში დაიღუპა. მამაჩემი ნოე გურჯიძე სამამულო ომის მონაწილე, პედაგოგი იყო.

პედაგოგის ოჯახი მაშინ დიდი ქორწილს ვერ გადაიხდიდა, თუმცა დიდი ქორწილები მაშინ მოდაშიც არ იყო. ჩვენი ქორწილი ერთობ მოკრძალებული იყო – ნათესავებით და ახლობლებით. დღემდე არ მავიწყდება ქორწილის თამადა ვახტანგ დუჩიძე, მისი ყოველი სადღეგრძელო დასამახსოვრებელი იყო. დაგვლოცა და დაგვმოძღვრა, როგორ უნდა გვეცხოვრა, როგორი ოჯახი უნდა გვქონოდა, ცხოვრების ასპარეზზე გასულებს თავი არასოდეს არ უნდა შეგვერცხვინა, საზოგადოების დირსეული წევრები უნდა ვყოფილიყავით, ოჯახს კი ურთიერთსიყვარული და პატივისცემა გვქონოდა.

პირველი შვილის შეძენამ ჩემი პასუხისმგებლობა ოჯახისადმი კიდევ უფრო გაზარდა, ვიგრძენი, თუ რას ნიშნავდა შვილი, რომ მხოლოდ ჩვენ ორს მხოლოდ ერთმანეთზე არ უნდა გვეზრუნა. მეორე შვილის შეძენამ სიხარულის გარდა, კიდევ უფრო გაზარდა პასუხისმგებლობა.

თანამდებობის პირი ვიყავი და როცა ვინმე თავისი ბავშვის რაიმე პრობლემებზე მესაუბრებოდა, უნებურად ჩემს შვილებს წარმოვიდგენდი და ვცდილობდი დავხმარებოდი.

იმის გამო, რომ სამსახურში დატვირთული ვიყავი, რის გამოც არ მქონდა დასვენების დღეებიც, უმეტესად დამის საათებშიც მიწევდა მუშაობა, ასე, რომ ცოტა დრო მრჩებოდა ბიჭებისათვის. მათთან უმეტესად ნელი იყო. იგი ყოველთვის ნახულობდა დროს ყოფილიყო შვილების გვერდით, მიუხედავად იმისა, რომ რაისაავადმყოფოს კარდიოლოგი ერთობ დატვირთული იყო. პატარების გაზრდაში სიდედრი და დედაჩემი გვეხმარებოდნენ.

მე ვიცოდი, რომ ბავშვებს მაინც ეურადღება სჭირდებოდათ. ვცდილობდი ყველანაირად, დრო გამომენახა, მაგრამ ხშირად ისე ხდებოდა, სახლში მისული მძინარე ბავშვებს ვეფერებოდი, ჩემთვისაც და ჩემი შვილებისთვისაც უბედნიერესი დღეები იყო, როცა დასასვენებლად ოთხივე ერთად მივდიოდით.

მინდა გითხრათ, რომ შვილების შეძენის შემდეგ ჩემი და ჩემი მეუღლის ურთიერთობა უფრო განმტკიცდა. იგი ჩემთვის მარტო საყვარელი ქალი კი არა, ჩემი შვილების დედა იყო და მას მეტი პატივისცემა სჭირდებოდა, მით უმეტეს, რომ ნელის კარგად ჰქონდა შეგნებული რამხელა პასუხისმგებლობა მქონდა აღებული რაიონის წინაშე. მისი მადლობელი ვარ დღესაც ხელის შეწყობისათვის და იმ მოთმინებისათვის, რასაც ის წლების განმავლობაში აკეთებდა.

თითქმის 40 წელი ვიცხოვრეთ ერთად. რომ არა მისი მხარში დგომა, ვერ შევძლებდი იმ მძიმე შრომას, რომლის გადატანაც მე ხშირად მიწევდა. მეტად მტკივნეული იყო ჩემთვის მისი ადრე წასვლა ამქვეყნიდან, მაგრამ მე ბედნიერი ვარ და შემიძლია მასთან გატარებული ყოველი დღე ტკბილად გავიხსენო.

თქმა იმისა, რომ ცოლ-ქმარს კამათი არ მოუვა, შეუძლებელია. ისევე, როგორც ყველა ოჯახს, ჩვენს ოჯახსაც ბევრი პრობლემა ჰქონდა, დაწყებული ეკონომიკური მდგომარეობიდან, მაგრამ არასდროს ერთმანეთისთვის არ გვიგრძნობინებია და იცით რატომ? ურთიერთსიყვარული და პატივისცემა ჩვენ ამის უფლებას არ გვაძლევდა და რაც მთავარია, გვქონდა ურთიერთდათმობისა და მოთმინების დიდი უნარი. ამას ალბათ ჩვენი სიყვარული გვკარნახობდა.

თუ ოჯახს შესაძლებლობა აქვს, ახლადდაქორწინებულებმა შეიძლება ცალკე იცხოვრონ, მაგრამ მშობლებთან ცხოვრება ბევრ სიკეთეს აძლევს ახალგაზრდებს – მათ ხომ ყველაფერი არ იციან, ამიტომ მშობლისგან უნდა ისწავლონ. გარდა ამისა, ტრადიციებიც ხომ მშობლისგან მოდის. შვილიშვილი რომ ბებია-პაპასთან იზრდება, სხვა მნიშვნელობა აქვს – უმცროს-უფროსობა, მორიდებულობა, ურთიერთპატივისცემა.

მე დღეს შვილიშვილები რომ არ მყავდეს, მერწმუნეთ, ჩემს ცხოვრებას აზრი ექნებოდა დაკარგული. ჯერ კიდევ შემიძლია მათზე ზრუნვა და ეს მაძლევს სიცოცხლის ხალისს. რატომდაც მგონია, რომ ახალგაზრდობაში ყოველდღიური საქმიანობით დატვირთულმა ბოლომდე ვერ განვიცადე შვილებისადმი სიყვარული და ახლა ეს გრძნობა გაორმაგებულია შვილიშვილების მიმართ. და ვერ წამომიდგენია, რომ შვილიშვილებზე უკეთესი ამქვეყნად იყოს რამე.

სამოც წელზე მეტია საგარეჯოში ვცხოვრობ. მახსოვს ძველი თაობა, ჩემზე უფროსები, ჩემი ასაკის და მომდევნო თაობა, მაგრამ დღეს რომ ახალგაზრდობა დადის ჩვენს ქალაქში, ეს სულ სხვა არის – მოვიდა თაობა ფიზიკურად სრულყოფილი, ლამაზები, მადალი და წარმოსადეგნი, გონიერები, განსწავლულები და კარგი საქმეების მკეთებლები. ყველას მინდა ბედნიერება ვუსურვო. დაფიქრდნენ, ოჯახების შექმნისას სიყვარული და ურთიერთპატივისცემა უნდა იყოს მათი ოჯახების საფუძველი და თუ ყოველივე ამას მოთმინების და დათმობის უნარს დაუმატებენ, ოჯახურ ცხოვრებას იდეალურად ააწყობენ. ბუნებრივია, 21-ე საუკუნეს ფეხი უნდა ავუწყოთ, მაგრამ ქართველებს კარგი ტრადიციები გვაქვს და ისინიც არ უნდა დავკარგოთ

თინა ილაური

ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაციის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესებში

პროექტი „შენი არჩევანი მომავლის ხიდია“

ეკვე მეხუთე წელია საგარეჯოში ფუნქციონირებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები მომავლისათვის“, რომელიც აქტიურად არის ჩაბმული სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული პროექტების განხორციელებაში.

ამასწინათ ორგანიზაციამ მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანული სოფლების მოსახლეობისათვის განახორციელა პროექტი „შენი არჩევანი მომავლის ხიდია“, რომლის უმთავრესი მიზანი სოციალური განწყობისა და ელექტორატის ზრდა გახდა. თუ როგორ განხორციელდა პროექტი და რა გამოხმაურება ჰქონდა მას ჩვენი აზერბაიჯანელი თანამოქალაქეებისაგან, ამის შესახებ თავად პროექტის ხელმძღვანელი ქ-ნი <u>მაია ბეიტრიშვილი</u> გვესაუბრება:

– სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ 2012 წლის 24 ივლისს გამოცხადდა საგრანტო კონკურსი, რომლის მიზანი იყო იმ პროექტების გამოვლენა, რომელთა განხორციელება მაქსიმალურად შეუწყობდა ხელს საარჩევნო პროცესისადმი სოციალური განწყობის გაუმჯობესებას. მიმდინარე საარჩევნო წელს ელექტორატის აქტიურობის ზრდას, ამომრჩეველთა მიერ გააზრებული არჩევანის გაკეთებას და ამ მიმართულებით სხვადასხვა ფორმატის საინფორმაციო კამპანიების ორგანიზებას.

ზემოთაღნიშნულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობა მიიღო საგარეჯოს რაიონში არსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ქალები მომავლისათვის“. ორგანიზაციამ კონკურსზე წარადგინა პროექტი „შენი არჩევანი მომავლის ხიდია“, რომელიც მიზნად ისახავდა საგარეჯოს რაიონის ეთნიკური უმცირესობით დასახლებული თემების მოსახლეობის სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებას არჩევნების საკითხების ინფორმირების გზით. დასახელებულმა პროექტმა გაიმარჯვა აღნიშნულ კონკურსში და 2012 წლის 18 აგვისტოდან დაიწყო პროექტის განხორციელება. კერძოდ, რაიონის ეთნიკურად აზერბაიჯანელი ეროვნებით დასახლებულ დუზაგრამის, იორმუღანლოს, ლამბალოსა და თულარის თემებში. პროექტის განხორციელების გზების შესაბამისად ტარდებოდა ტრენინგები როგორც ახალგაზრდებთან, ისე ქალებთან. ასევე მიმდინარეობდა ყოველდღიური ინდივიდუალური შეხვედრები გადაადგილების უნარშეზღუდულ მოსახლეობასთან. მათი სოციალური აქტივობა მისაბაძი გახდება დანარჩენი მოსახლეობისათვის. ტრენინგების ჩატარებაში მონაწილეობდნენ კვალიფიციური ტრენერები: ქეთი ნიკოლაიშვილი, ლუიზა ჩალათაშვილი, ნაზი არჩვაძე, მარი დარბაისელი, რომელთაც აქვთ საარჩევნო გა-

დასასრული მე-8 გვერდზე

ღვთისმშობლის ხელით გაკეთებული სასწაული

2004 წლის დეკემბერში დამასკოსა და საუდის არაბეთი დიდმა სასწაულმა შეძრა: – ერთმა არაბმა მედიას თავისი სასწაულებრივი გადარჩენის შესახებ ძალზე ამაღელვებელი ამბავი მოუთხრო (ტელევიზიით, რადიოთი, ინტერნეტით და ბეჭდური მედიით გავრცელდა საუდის არაბეთში, პალესტინასა და ყველა მეზობელ ქვეყანაში).

მოგვითხრობს ბეცახურის მონასტრის იღუმენი ეგნატე (მაცხოვრის საფლავის საძმო):

– ხსენებული არაბი რამდენიმე წლის წინ დაქორწინებულა ერთ მდიდარ ქალზე, რომელიც უშვილო აღმოჩნდა. გადიოდა წლები, მაგრამ ცოლ-ქმარს შვილი არ უჩნდებოდა. საუდის არაბეთში არაერთ ექიმს მიმართეს, თუმცა, უშედეგოდ. ვაჟს მშობლები კიდევ ერთი ცოლის შერთვას ურჩევდნენ, რადგანაც მამაკაცს, მათი კანონის თანახმად 4 ცოლის ყოლის უფლება აქვს.

ძალზე დაღლილმა და გულგატეხილმა არაბმა მეზობელ ცოლთან ერთად სირიაში დასასვენებლად და გულის გადასაყოლებლად გამგზავრება გადაწყვიტა. დამასკოში ლიმუზინი იქირავეს, რომლის მძღოლიც გიდის მოვალეობასაც ასრულებდა და სირიის ღირსშესანიშნაობათა ჩვენება სთხოვეს.

მუსულმანმა მძღოლმა, რომელსაც ცოლ-ქმრის მოწყენილობა არ გამოჰპარვია, მიზეზს დაეკითხა და როდესაც შეიტყო, ურჩია, რომ სირიაში, მართლმადიდებელ ქრისტიანთა „სენდანარიას“ (არაბულად ქალწულ დედოფალს ნიშნავს) სახელობის მონასტერში მისულიყვნენ და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი მოელოცათ, რომელსაც მორწმუნენი შვილის შეძენას ევედრებიან (მონასტერში ხატის მომლოცველთ აძლევდნენ ამ სასწაულთმოქმედი ხატის კანდელიდან ფითილს).

არაბმა და მისმა მეუღლემ მძღოლს „ქრისტიანობის ქალწულთან“ წაყვანა სთხოვეს და აღუთქვეს, რომ თუ ნატვრა აუხდებოდათ, 20000 დოლარს აჩუქებდნენ. მონასტერს კი – 80 000 დოლარს შესწირავდნენ.

მართლაც, მივიდნენ მონასტერში და ყველაფერი ისე გააკეთეს, როგორც მონაზვნებმა აუხსნეს. შინ დაბრუნების შემდეგ ქალი დაორსულდა და ლამაზი და ჯანსაღი ბიჭი გააჩინა.

მეუღლის მშობიარობისთანავე არაბმა თავისი აღთქმის შესრულება განიზრახა და სირიელ მძღოლს დაურეკა, რომ დამასკოს აეროპორტში დახვედროდა და მონასტერში წაეყვანა.

სამწუხაროდ, მძღოლმა ბოროტი საქმე ჩაიფიქრა და ორ თანამზრახველთან ერთად არაბის მოკვლა და გაძარცვა განიზრახა, მას კარგად ახსოვდა, რომ არაბს მონასტრისთვის შესაწირად 80000 დოლარი მოჰქონდა.

არაბს აეროპორტში დახვდნენ, უკაცრიელ ადგილას წაიყვანეს და სიცოცხლეს გამოასალმეს, შემდეგ მისი სხეული დაანაწევრეს – თავი და კიდურები წაჰკვეთეს, საბარგულში იმ განზრახვით ჩატენეს, რომ, სხვაგან დაეფლათ, მაგრამ როდესაც ცენტრალურ მაგისტრალზე გამოვიდნენ, უეცრად ლიმუზინის ძრავა ჩაქრა. მათ მანქანიდან გადმოსვლა მოუწიათ... ცოტა ხანში გამვლელმა მძღოლმა გააჩერა და დახმარება შესთავაზა, მაგრამ დანაშაულის გამჟღავნების შიშით იუარეს და ხელით ანიშნეს, წასულიყო...

თუმცა, ამ უკანასკნელმა საბარგულიდან ჩამოღვენთილი სისხლის წვეთები შენიშნა და პოლიციას შეატყობინა, რომელიც 5 წუთში ადგილზე მივიდა და ბოროტმოქმედებს საბარგულის გახსნა მოსთხოვა... სხვა გზა აღარ ჰქონდათ და შიშით აცახცახებულებმა საბარგულს ახადეს და... იქიდან სრულიად საღსალამათი არაბი გადმოვიდა...

მანქანის საბარგული სისხლით იყო სავსე, ხოლო არაბს – კისერსა და კიდურებზე ნაკერების კვალი ეტყობოდა...

– „ახალგაზრდა ქალმა, რომელმაც მითხრა, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელია, მოჭრილი სხეულის ნაწილები მიმიკერა“, – განაცხადა არაბმა.

ლიმუზინის მძღოლსა და მის თანამზრახველთ ენა მუცელში ჩაუვარდათ, თვალებს არ უჯერებდნენ, ჭკუიდან შეიშალნენ და გაჰყვიროდნენ: „მოგკალით, აგკუწეთ, თავი მოგაჭერით და ეს შენ ხარ?! შენ ადამიანი არ ხარ!“

პოლიციამ მათ ხელბორკილები დაადო და ფსიქიატრიულში წაიყვანა, თავად არაბი კი საავადმყოფოში გაამწესეს, სადაც ექიმებმა და მეცნიერებმა წერილობით დაადასტურეს ასრულებული დიდი სასწაული. აშკარად ჩანდა სხეულზე ძაფით ნაკერები...

არაბი საქვეყნოდ, მედიის მეშვეობით ადიარებდა „ყოვლადწმიდამ გამიკერა სხეული და თავისი ძის ძალით აღმადგინა“. თან მართლმადიდებლურად მონათვლის დიდ სურვილსაც ადასტურებდა.

ხსენებულ სასწაულს უდიდესი გამოხმაურება ჰქონდა. მკვდრეთით აღმდგარმა არაბმა ამ ამბის შესახებ მეგობრებსა და ნათესავებს შეატყობინა, რომ სირიაში ისინიც ჩასულიყვნენ და ყოვლადწმიდა დედისთვის მადლობა ეთქვათ. მოკლე ხანში ყველანი ჩავიდნენ და არაბმა 80000-ის ნაცვლად მონასტერს 800000 დოლარი შესწირა.

ამ სასწაულის შესახებ ვინმეს რომ უამბობს, თხრობას ასე იწყებს: „როდესაც მუსულმანი ვიყავი, ეს ამბავი მაშინ შემემთხვა და ამის შემდეგ აღარც მე და აღარც ჩემი ოჯახი მუსულმანები აღარ ვართო.“

ამ ფაქტმა მხოლოდ არაბეთი კი არა, მთელი ახლო აღმოსავლეთი შეძრა, თუმცა, მუსულმანი სასულიერო პირები სასწაულის უარყოფასა და დაკნინებას შეეცადნენ, რადგან მრევლის მასობრივი გაქრისტიანების შეეშინდათ.

მართლმადიდებლობა

ლანჩანოს სასწაული

ქრისტეშობიდან VIII საუკუნეში იტალიის ერთ-ერთ ძველ ქალაქ სანლეგონციაში ევქარისტიის საიდუმლო სრულდებოდა. მაგრამ ერთ მღვდელმსახურს, რომელიც იმ დღეს ლიტურგიას აღასრულებდა, უეცრად ეჭვი გაუჩნდა, მართლა ხდებოდა თუ არა პურისა და ღვინის მაცხოვრის სისხლად და ხორცად გადაქცევა. ქრონიკებმა არ შემოგვინახეს ამ მღვდელმონაზონის სახელი, მაგრამ მის გულში ჩასახული ეჭვი გახდა საბაბი ევქარისტიული სასწაულებისა, რომლებიც დღემდე გამოუცნობია.

მღვდელი ეჭვის გაფანტვას ცდილობდა, მაგრამ იგი არ შორდებოდა: რატომ უნდა დავიჯერო, რომ პური პური აღარ იქნება, ღვინო კი სისხლად იქცევა? ვინ დამიმტკიცებს ამას? მით უმეტეს, რომ ისინი გარეგნულად არაფრით იცვლებიან და არც არასოდეს შეცვლილან. ალბათ, ეს მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლოა, გახსენება საიდუმლო სერობისაო...

შიშით წარმოთქვამდა მღვდელი ევქარისტული კანონის წმინდა სიტყვებს, მაგრამ ეჭვი ისევ ტანჯავდა. რა თქმა უნდა, მას, სამსხვერპლო ტარიგს, შეეძლო თავისი ძალაუფლებით ღვინო სისხლად ექცია, პური კი – ხორცად. ყველაფერი შეეძლო, მამაზეციერის ნებით იყო ამ ქვეყნად მოვლენილი, მაგრამ ის უკვე დიდი ხანია დაგვშორდა, დატოვა ეს ცოდვილი სოფელი და ნუგეშად დაგვიტოვა წმინდა სიტყვები და ლოცვა-კურთხევა... მაგრამ ნუთუ თავისი სისხლი და ხორციც? ნუთუ ეს შესაძლებელია? განა წმინდა ევქარისტია მხოლოდ წეს-ჩვეულება არ არის? გულმოდგინედ ცდილობდა მღვდელი საკუთარ სულში მშვიდობისა და რწმენის აღდგენას. ლოცვის სიტყვებთან ერთად მან გატეხა ევქარისტული პური და მღვდელმონაზვნის თითებში განტეხილი პური უეცრად შეიცვალა. ბარძიმშიც უკვე ღვინო აღარ ესხა, იქ ბლანტი წითელი სითხე იყო, რომელიც საოცრად წააგავდა სისხლს. გაოგნებული მღვდელი უცქერდა პურის ნატეხს, რომელიც ძალიან წააგავდა ადამიანის სხეულის კუნთის ქსოვილს. სასწაულით შეძრული ბერ-მონაზვნები გარს შემოეხვივნენ და გაოცებას ვერ მალავდნენ. წმინდა ლიტურგიის დასრულებისთანავე მღვდელ-მონაზონი მუხლებზე დაემხო და ლოცვა დაიწყო. რაზე ლოცულობდა – არავინ უწყის. ამას ვერც ვერასოდეს შევიტყობთ. მაგრამ ერთი რამ დღემდე ცხადია: მას შემდეგ ქალაქ ლანჩანოში 12 საუკუნის განმავლობაში ინახება მაცხოვრის სასწაულებრივი სისხლი და ხორცი.

გავიდა საუკუნეები და სასწაულებრივი ძღვენი სწავლულთა ყურადღების საგანი გახდა. 1574 წლიდან მრავალი ცდა და დაკვირვება ტარდება.

ანატომიის, პათოლოგიური ჰისტოლოგიის, ქიმიისა და კლინიკური მიკროსკოპიის ცნობილი სპეციალისტი, სიენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორი ოდოარდო ლინილი თავის კოლეგებთან ერთად ტარიგს 1970 წლის ნოემბერსა და 1971 წლის მარტში იკვლევდა და ასეთ დასკვნამდე მივიდა: წმინდა ძღვენი, რომელიც ლანჩანოში VIII საუკუნიდან ინახება, ნამდვილად ადამიანის სისხლი და ხორცია. ხორცი არის გულის კუნთოვანი ქსოვილის ნაწილი, შეიცავს მიოკარდს, ენდოკარდს და ცდომილ ნერვს. შესაძლოა ხორცის ნაწილი შეიცავს აგრეთვე მარცხენა პარკუჭს. ასეთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა მიოკარდის შესამჩნევი სიფართოვე, რომელიც ხორცის ქსოვილებშია. ხორციც და სისხლიც ერთი და იმავე ჯგუფის სისხლს განეკუთვნება. იმავე ჯგუფისაა ტურინის სუდარაზე არსებული სისხლიც, რომელიც შეიცავს პროტეინებს, მინერალებს ადამიანის სისხლისათვის ნორმალური პროცენტული შესაბამისობით. მეცნიერებმა საგანგებო ხაზგასმით აღნიშნეს: ყველაზე საოცარი ის არის, რომ სისხლი და ხორცი 12 საუკუნეა ინახება ფიზიკური, ატმოსფერული და ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედების ქვეშ ხელოვნური დაცვისა და სპეციალური კონსერვანტების გამოუყენებლად. ამის გარდა სისხლის, რომელიც თხევად მდგომარეობაში გადაყვანის შემთხვევაში გადასხმისათვის ვარგისია, სისხლის ყველა თვისება გააჩნია. ოდოარდო ლინილის პარალელურად გამოკვლევებს ატარებდა სიენის უნივერსიტეტის ადამიანის ნორმალური ანატომიის პროფესორი რუჯერო ბერტელი და მანაც იგივე შედეგები მიიღო.

განმეორებითი ექსპერიმენტების შედეგად 1981 წელს უფრო სრული აპარატურითა და ანატომიასა და პათოლოგიაში მეცნიერების ახალი მიღწევების გათვალისწინებით ეს შედეგები ისევ დადასტურდა.

თანამედროვეთა მოწმობით სისხლი მოგვიანებით 5 სხვადასხვა ფორმის ბურთულად იქცა, რომლებიც შემდეგ გამკვრივდა. საინტერესოა, რომ თითოეული მათგანი ცალკე აღებული იმდენივეს იწონის, რამდენსაც ხუთივე ერთად. ეს ეწინააღმდეგება ფიზიკის ელემენტარულ კანონებს, მაგრამ ფაქტია, რომლის ახსნაც მეცნიერებს არ ძალუძთ.

მთის ბროლის ნატეხისაგან დამზადებულ ფიალაში მოთავსებულ სისხლსა და ხორცს უკვე 12 საუკუნეა აკვირდებიან ლანჩანოში ჩასული მლოცველები თუ მოგზაურები...

მეუდაბნოე მამის ნაამბობი

რაც აღრე შეუძლებელი გვეჩვენებოდა, სავსებით შესაძლებელი გახდა...

სამი რამის მეშინია და ვერ დავითმენ, – უთხრა ეშმაკმა ერთ მეუდაბნოე მამას, – ესაა ნათლისღება, როცა სრულიად ვკარგავ ძალას და თქვენზე ძალაუფლებას; ჯვარი, რომელიც მტანჯავს, მდევნის და მაცამტვერებს, და ბოლოს ზიარება. ეს უკანასკნელი ჩემთვის გეენის ცეცხლზე საშინელია, ვუფრთხი მას ისე, როგორც მზისა ეშინია ბნელს. ღირსეულად მაზიარებელთან მიახლოება კი არა, მისი შეხედვაც კი მაძრწუნებს, მაგრამ ადამიანთა წყალობით, მათი უყურადღებობით და მანკიერი ჩვევების გამო, თვითონვე რომ იშორებენ და განაქარვებენ საიდუმლოთა მადლს, მხოლოდ დროებით განვეშორები ხოლმე მათ.

გამოსათხოვარი

კაცი, რომელმაც მთელი სიცოცხლე სპორტის სიყვარულით იცხოვრა

ვალერიან ოდიკაძე

ვალერიან (ვალიკო) ოდიკაძემ სრულიად ახალგაზრდამ, დაამთავრა თუ არა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტი, მშობლიურ საგარეჯოს დაუბრუნდა და იმ დღიდანვე გარეჯული სპორტის სამსახურში ჩადგა, რასაც მთელი 50 წელზე მეტ ხანს ერთგულად და უანგაროდ ემსახურა.

პირველი ნაბიჯები საგარეჯოს პირველ საშუალო სკოლაში, ფიზაღზრდის მასწავლებლობიდან გადადგა, შემდეგ იყო საგარეჯოს სპორტსკოლისა და სპორტული კომიტეტის თავკაცი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ამ საუკუნის დამდეგამდე არ ყოფილა არც ერთი ისეთი გარეჯელი მოჭიდავე თუ სპორტის სხვა სახეობაში მეტ-ნაკლებად ცნობილი პიროვნება, ვისთანაც თავისი ამაგი და შეხება არ ჰქონოდა მას.

ნახევარსაუკუნოვანი საქმიანობის მანძილზე ბევრი ჯილდო და საჩუქარიც მიუღია დამსახურებულად, მაგრამ მისთვის ყველაზე მეტი ჯილდო და სიხარული ჩვენი სპორტსმენების მიღწევები და წარმატებები იყო. ეს სითბო და სიყვარული აძლიერებდა ცხოვრების ბოლო წლების სიძნელეებს. ამ დღეებში კი გარეჯული სპორტის წინაშე ღირსეულად ვალმოხდილი სამუდამოდ დაემშვიდობა მშობლიურ საგარეჯოს და დატოვა ნათელი ხსოვნა ყველას გულებში, ვისაც კი ოდესმე რაიმე ურთიერთობა ჰქონია მასთან.

მსუბუქი ყოფილიყოს მის გულზე დაყრილი ქართული მიწა.

მეგობრები

ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაციის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესებში

პროექტი „შენი არჩევანი მომავლის ხიდია“

დასასრული

მოცდილება. უმეტეს მათგანს აქვს საარჩევნო მოხელის სერტიფიკატი.

პროექტზე მომუშავე ჯგუფის მიერ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მასალებზე დაყრდნობით მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტი ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე. ბუკლეტში შეტანილი იყო ინფორმაცია პარლამენტის და საპარლამენტო არჩევნების შესახებ, ასევე, ამომრჩევლისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია კენჭისყრის პროცესის შესახებ. აღნიშნული ბუკლეტების გავრცელება ხდებოდა მოსახლეობაში, ტრენინგის მონაწილეებისა და მომუშავე ჯგუფის წევრების მიერ სოფლის თავშეყრის ადგილებში. იმისათვის, რომ მოსახლეობა უფრო მოტივირებული ყოფილიყო როგორც ტრენინგებში მონაწილეობით, ასევე არჩევნების პროცესში მონაწილეობით, პროექტის ფარგლებში ჩატარდა სპორტული ღონისძიებები, კერძოდ სოფლის თავშეყრის ადგილას მოეწყო საჭიდაო არენა, სადაც გაიმართა 5 ღონისძიება – შეჯიბრებები ჭიდაობაში. ჭიდაობებზე ასევე გაიმართა კულტურული ღონისძიებები, სადაც აზერბაიჯანელ ბავშვებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საგარეჯოს II საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. აღნიშნული ღონისძიება საგარეჯოს რაიონის ეთნიკური უმცირესობის მოსახლეობაში პირველი მცდელობა იყო, რამაც მათი დიდი ინტერესი და მადლიერება გამოიწვია.

სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებზე მონაწილე და დამსწრე მოსახლეობას დაურიგდა წარწერიანი მაისურები, სადაც ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე გაკეთდა წარწერა „შენი ხმა მომავალს“, რამაც ასევე მათი დიდი მადლიერება გამოიწვია. მათ მშობლიურ ენაზე გაკეთებულმა წარწერამ დიდი სტიმული მისცა საარჩევნო პროცესში მონაწილეობისათვის.

– პროექტის მიმდინარეობისას რაიმე სირთულეებს თუ აწყდებოდით?

– როგორც მოგეხსენებათ პოლიტიკური კამპანია მუნიციპალიტეტში საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა. რამდენიმეჯერ მოგვიწია დაგეგმილი ტრენინგის გადადება, მათი ჩატარების ადგილის შეცვლა, რათა ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრა არ გადაზრდილიყო პოლიტიკური დაპირისპირების პროცესში. პროექტის სიცოცხლისუნარიანობის გამოკვეთის პროცესში ჩვენი ჯგუფის წევრები დააკვირდებიან მოსახლეობის აქტივობას. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს მიერ განხორციელებული პროექტი მაგალითი გახდება მოსახლეობის სამოქალაქო გააქტიურებისა და ისინი აქტიურად იქნებიან ჩართული სახელმწიფოს მართვის პროცესში არა მარტო არჩევნებში მონაწილეობით, არამედ შემდეგაც.

გამოსათხოვარი

თამარ კოხტაშვილი-ილაური

„მე ვდარდობ,
შენ რო დაგედარდები“...

ჯვართამაღლების დღესასწაულს შენი ლამაზი სული იმქვეყნიურ სამყაროს შეუერთდა, დედა. ხო, შენ ამქვეყნიდან გახვედი, მაგრამ ჩემთვის მხოლოდ ფიზიკურად – შენს სიახლოვეს, შენს სითბოს მაინც ყოველ წუთს ვგრძნობ ძილშიც და ცხადშიც, შენზე ცრემლიანი და შენი სურათის ღიმილით შემხედავიც... შენ ჩემთან ხარ, დედა, ისევ ისე, როგორიც იყო ჩვენი დედაშვილობა – მეგობრული, თბილი შენი თვალებივით და მგრძნობიარე შენი გულივით...

ახლა ვხვდები, რა მწარედ დაგვაჩოქა შენმა უკურნებელმა სენმა ოთხივე შვილი, შვილიშვილები, სიძეები, ახლობლები. რა ულმობელი სისასტიკით გამოგვტაცა შენი თავი, – ჩუმი, უპრეტენზიო, მორიდებული, მუდამ საქმეში ჩაფლული და მაინც ფიქრითა და ოცნებებით შვილებთან, შვილიშვილებთან მყოფი... სარეცელზე მიჯაჭვული ის ორი თვეც საოცარი გონიერებითა და აზროვნებით გაგვატარებინე – გონიერი, აზრიანი ქალი იყავი და ყველაფერი ისე გათვალე, შენი მოვლა რომ გაუადვილე და შეუმსუბუქე ჩემს დებს. სწორედ ამიტომაც იყო, ცრემლგამშრალი ვიდექით შენს სამარესთან, – ცრემლი მოსდევდა ყოველ შენს მობოდიშებას, ტკივილების შემსუბუქების შემდეგ მადლობას. ახლაც მახსოვს შენი ნაღვლიანი თვალები და ჩურჩულით ნათქვამი: „– მე აღარაფერი მეშველება, შვილო, თქვენი დარდი მაქვს, ჩემზე რომ იდარდებთო“. ისევ ჩვენი დარდი გაგყვა, დედა, არ ვიდარდოთ?! როგორ არ დაგიდარდოთ, დედა. როცა შენ გვასწავლე და შეგვასისხლხორცებინე:

– ქართული ენის, ქართული მიწის, მართლმადიდებლობის პატივისცემა, სიყვარული და ვალდებულება – მოვუაროთ ყოველივე ქართულს ისე, როგორც ქართველ ქალს შეეფერება;

– სიყვარული მოყვასისა;

– პატივისცემა და მოკრძალება ქართული ტრადიციებისა;

– უფროს-უმცროსობა, ჭირსა და ლხინში ყველასთვის თანადგომა;

– დათმენა – ჭირისა, მოთმენა – განსაცდელისა, მორჩილად ატანა გასაჭირისა;

– ოჯახის სიყვარული, კრძალვა და პატივისცემა თითოეული წევრისადმი;

– მზრუნველობა გაჭირვებულთათვის და კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი რამ...

მადლობა უფალს, ასეთი კარგი ქართველი ქალის, მეუღლის, დედის შვილობა რომ მარგუნა ბედად.

მადლობა შენ ჩემო დედიკო, ამაგისა და სიყვარულისათვის. მადლობა იმ სავიზიტო ბარათისათვის, რაც შენ შენი კარგი ადამიანობით ადვილად მიხსნიდი გზას ცხოვრების ორომტრიალში, მადლობა, რომ ასეთი კარგი იყავი, ასეთი ლამაზი, სათნო, კეთილი. ალალი იყოს შენი მეზობლების, ახლობლების, ნათესავების ის წრფელი ცრემლები, შენთან განშორების ჟამს ალალად რომ დაგადინეს. ისე მშვიდად, წყნარად გახვედი ამ ქვეყნიდან, ისე წყნარად, მშვიდად მიებარე მშობლიურ მიწას, როგორი მშვიდი ბუნებაც შენ გქონდა. როგორ ცდილობდი მთელი შენი ცხოვრება, შეუმჩნეველი ყოფილიყავი სხვებისაგან, მაგრამ მაგ მოკრძალებამ და მორიდებამ უფრო მეტი პატივისმცემელი გაგიჩინა, ჩვენთან ერთად უამრავი ჭირისუფალი მიგაცილებდა სექტემბრის ბოლო მზიან დღეს, დედიკო. და რაც მთავარია, დედა, უფალმა მოგანიჭა დიდი მადლი – შენ შენი საყვარელი ქალაქის ქუჩებზე სექტემბრის იმ მზიან დღეს უკანასკნელად გაიარე იმქვეყნად წამსვლელმა – პირველად სასულიერო პირების მიერ იმ დღისით ნაკურთხი ქალაქის ქუჩებით.

მადლობა დედა ყველაფრისათვის.

ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი, ლამაზი სული უფალმა.

შენი თინა (თანგული)

სპორტი

საგარეჯოელმა მორბენალმა თელავშიც გვასახელა

31 წლის საგარეჯოელი მორბენალი-მარათონელის – დავით დარბაისელის წარმატებებზე არაერთხელ გვიცნობებია ჩვენი მკითხველისათვის. გადის წლები და იგი სპორტისათვის არ „ბერდება“, არ ანებებს თავს თავის საყვარელ საქმეს – სირბილს. სექტემბრის II ნახევარში მან მონაწილეობა მიიღო თელავში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მძლეოსნობის ფედერაციის მიერ გამართულ სამკილომეტრიან კროსში, რომელშიც კახელებთან ერთად ქვეყნის სხვა რეგიონების მორბენლებიც მონაწილეობდნენ. ამ კროსში დავითმა 300 კაციდან მეორემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი, რისთვისაც შესაბამისი სიგელით, მედლითა და ფულადი ჯილდოთი დაჯილდოვდა. როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნა, იგი ჯერჯერობით არ აპირებს სირბილისათვის თავის დანებებას. სირბილი მისი ჰობია და ვიდრე შეეძლება, ძალ-ღონეს არ დაიშურებს თავისი შედეგების გასაუმჯობესებლად.

ბივი დაგახიშვილი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 577 951 488

ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com

შვილები მარინა, თინა, ლეილა, მაია ილაურები, სიძეები: ტარიელი, ვასიკო, ოთარი, შვილიშვილები გიორგი და ნიკა როსტომაშვილები, თამუნა და ნინო შალვაშვილები, უშანგი და ვანო ქურხულები, ზურაბ და ნუცა ჩოკოშვილები, და რუსუდანი, რძალი ქეთი მეხაშიშვილი, მაზლისცოლი დარეჯან ილაური, დისშვილები, მაზლისშვილები, მულისშვილები იუწყებიან

თამარ (თამრიკო) გიორგის ასულ კოხტაშვილი-ილაურის

გარდაცვალებას. დაკრძალვა შედგა 30 სექტემბერს, ქ. საგარეჯოში.

„გარეჯის მაცნეს“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ თინა, მარინე, ლეილა და მაია ილაურებს დედის

თამარ კოხტაშვილი-ილაურის

გარდაცვალების გამო.

თამარ ლაფაჩიშვილი სამძიმარს უცხადებს თინა, მარინე, ლეილა და მაია ილაურებს დედის

თამარ კოხტაშვილი-ილაურის

გარდაცვალების გამო.